



თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 9

„12“ აგვისტო 2014 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირის - შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის
სამსახურის“ დაფუძნების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის იურიდიული პირის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აგვისტოს №23 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაფუძნდეს თელავის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური“;
2. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის“ წესდება დანართის შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი

ალექსანდრე შათირიშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3. საზოგადოების სახელწოდებაა „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური“.
4. საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
5. საზოგადოების იურიდიული მისამართია ქალაქი თელავი, ერეკლე მეორის გამზირი №16.
6. საზოგადოებას აქვს სატიტულე ბლანკი, ბეჭედი და ანგრაშის ნომერი ბანკში.
7. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: Infrastruktura.ketilmotskoba@yahoo.com

მუხლი 2. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:
 - ა) თელავის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გამწვანების ღონისძიებების განხორციელება, დაზიანებული ხეების მოჭრა და კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება;
 - ბ) გარე განათების საშუალებების მოწყობა, აღდგენა და მისი მოვლა - პატრონობის ღონისძიებების ორგანიზება;
 - გ) თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, ექსპლუატაცია და მოვლა - პატრონობა, სასმელი წყლის მიწოდება და გაწეული მომსახურების შესაბამისი საფასურის გადახდის ადმინისტრირება, არსებული საკანალიზაციო სისტემის მოვლა - პატრონობა, ჩამდინარე წყლების სისტემების მოვლა - პატრონობა, ხევების გაწმენდითი

სამუშაოების შესრულება და სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) ქვაფენილების, ტროტუარების, საგზაო ნიშნების მოწესრიგების ღონისძიებები, ასევე ქუჩების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ორგანიზება და შიდა საუბნო გზების მოვლა - პატრონობა;

ე) თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა - პატრონობა, ტერიტორიის მოწყობა და დაცვითი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) კეთილმოწყობის სფეროს პრობლემატიკისა და პროცესების კვლევა, დარგის განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

ზ) მაწანწალა ძაღლების მოვლა - პატრონობა და მათ მიმართ პრევენციული ზომების გატარება;

თ) თვითმმართველი თემი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება.

ი) სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების წარმოება;

კ) ნაგვის გატანა, დასუფთავება, ნაგავსაყრელის მოვლა-პატრონობა;

ლ) ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა;

მ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

2. საზოგადოება დებს ხელშეკრულებებს სახელმწიფო/ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან და კერძო პირებთან სამუშაოების შესრულებაზე და მომსახურებაზე;

3. საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება, მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებული სამეწარმეო - კომერციული საქმიანობის შედეგად.

4. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური

ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან;

5. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

მუხლი 3. პარტნიორი

1. საზოგადოების 100%-ის წილის მფლობელია თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი, რომელიც სრულად და ერთპიროვნულად ახორციელებს პარტნიორის ფუნქციას;

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის საფუძველზე, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება.

3. პარტნიორის კომპეტენციას შეადგენს:

ა) ბიზნეს - გეგმის დამტკიცება;

ბ) წლიური ანგარიშების შემოწმება და დამტკიცება;

გ) წესდებაში ცვლილებების შეტანა;

დ) საწედგო კაპიტალში ცვლილებების შეტანა;

ე) საზოგადოების პროფილის სრული ან ნაწილობრივი შეცვლა;

ვ) საზოგადოების წილის და ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება;

ზ) დირექტორის შრომის ანაზღაურებისა და მისთვის ხარჯების განსაზღვრა.

თ) საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

მუხლი 4. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. იურიდიულ პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს გამგებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორის წინაშე;

2. დირექტორი:

ა) უშუალოდ მართავს იურიდიულ პირს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განაგებს ქონებას და ფინანსურ სახსრებს;

გ) პარტნიორთან შეთხმებით დებს ხელშეკრულებებს, საკონტრაქტო წესით ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს. განსაზღვრავს შტატებს და სახელფასო სარგოებს, საზღვრავს მათი მუშაობის და შრომის ანაზღაურების წესებს და პირობებს, ანაწილებს ფუნქციებს;

დ) ამტკიცებს შრომის შინაგანაწესს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

3. პარტნიორს წარუდგენს ინფორმაციას:

ა) სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკისა და მომავალში ხელმძღვანელობის სხვა პრინციპულ საკითხებზე;

ბ) საქმიანობის მიმდინარეობისა და საზოგადოების მდგომარეობის შესახებ;

გ) იმ საქმეების შესახებ, რომელთაც საზოგადოების რენტაბელობის ან ლიკვიდურობისათვის შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს;

დ) სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება იურიდიული პირის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

მუხლი 5. წლიური ანგარიშგება, აღრიცხვა და შედეგები

1. წლიურ შედეგები აისახება საზოგადოების ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში, რომელსაც დირექტორი უდგენს პარტნიორს საფინანსო წლის შედეგების მიხედვით;

2. დირექტორი ადგენს წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას და წარუდგენს პარტნიორს დასამტკიცებლად;

3. წმინდა მოგების გამოყენების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და პარტნიორთან ურთიერთშეთანხმებით;

4. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას საწარმო ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით;

5. სულ ცოტა სამ თვეში ერთხელ, დირექტორი ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს პარტნიორს, მათ შორის იურიდიული პირის ბიზნეს - გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

6. წლიური ანგარიში მოწმდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ, კანონით განსაზღვრულ ვადებში;

7. სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. საქმიანობის კონტროლი

1. საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორი;

2. საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის პარტნიორი იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს პარტნიორის მიერ ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევაში;
2. თუ საზოგადოება გადახდისუნარო გახდება, დირექტორი ვალდებულია ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს სამი კვირისა გადახდისუნარობის დადგომის დღიდან, განაცხადოს გაკოტრების საქმის აღძვრის შესახებ, რის თაობაზეც ვალდებულია 15 დღით ადრე აცნობოს პარტნიორს.
3. დირექტორი ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც გაღებულია იურიდიული პირის გადახდისუნარობის დადგომის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეული იყო არაბრალეული ქმედებით;
4. პარტნიორი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორს);
5. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლო, სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორს) ნიშნავს სასამართლო;
6. სალიკვიდაციო პერიოდში საზოგადოებას მართავს ლიკვიდატორი
7. ლიკვიდატორი ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს პარტნიორს და/ან სასამართლოს;
8. (ლიკვიდატორი) ადგენს საწარმოს აქტივების (ქონების) რეალიზაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9. სასამართლოს უფლება აქვს, ხოლო ლიკვიდატორი ვალდებულია მოახდინოს იმ დაუფარავი კრედიტორული დავალიანებათა დეკონირება, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა;
10. იურიდიული პირი გაუქმებულად, ლიკვიდირებულად ითვლება შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

1. ამ წესდების რომელიმე მუხლის ბათილობა არ იწვევს მთლიანი წესდების ბათილობას;
2. წესდებაში ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის დღიდან;
3. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი;